ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ დაწესებულების შენობა-ნაგებობაში განთავსებულია 29 მოქმედი საკლასო ოთახი და 2 განაყოფის კლასი, 2 უცხოური ენის (გერმანული და ინგლისური) კაბინეტი, 3 ლაბორატორია (ფიზიკა, ქიმია-ბიოლოგია, კომპიუტერული), 1 ქართული ენისა და ლიტერატურის და 1 ხელოვნების კაბინეტი, ასევე 1 კერამიკის სახელოსნო, საიზოლაციო ოთახი და ადმინისტრაციის კაბინეტები. სკოლაში 30 ფინანსური კლასია. ყველა კლასს აქვს თავისი საკლასო ოთახი, გარდა მე-12 კლასისა, რომელსაც მეცადინეობები უტარდება კაბინეტების და განაყოფების მიხედვით და სკოლის განმარტებით, ამიტომ არ აქვს სტაციონალური საკლასო ოთახი. საკლასო ოთახები აღჭურვილია სხვადასხვა ასაკის შესაფერისი ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, დაფებით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, მოსწავლეთა ინდივიდუალური, საკეტიანი კარადებით. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საკლასო ოთხებში სულ განთავსებულია მოსწავლის 621 ერთეული მერხი და სკამი. ადგილზე დასაწყობებულია 81 ერთეული მერხის კომპლექტი (სულ 702 ერთეული). **აღსანიშნავიავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად სკოლას მოთხოვნილი 650 მოსწავლე, თუმცა ვიზიტის განხორციელებისას სკოლამ დააფიქსირა, რომ აქვს რესურსი და მზაობა, მოემსახუროს 700 მოსწავლეს. გადამოწმების შედეგად და იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას ძირითადად დიდი ზომის (ზოგიერთი მათგანის ფართი 67 კვ.მ.-ია) საკლასო ოთახები აქვს და არსებული რესურსით შესაძლებელია სკოლა მოემსახუროს 700 მოსწავლეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება ინვენტარის შესყიდვისა და გადაცემის დოკუმენტები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომლის ნაწილში მეკლდეურობის სავარჯიშო კედელია მოწყობილი, მეორე ნაწილში კალათბურთის ფარი და შვედური კედელია დამონტაჟებული. გარდა ამისა, სკოლის ეზოში მოწყობილია ხელოვნურსაფარიანი სტადიონი, რომელიც ლითონის მაღალი ბადითაა შემოღობილი სკოლას შეძენილი აქვს კალათბურთისა და ფეხბურთის ბურთები, მეკლდეურების სავარჯიშო აქსესუარები და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ორი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაა მოწყობილი. ქიმია/ბიოლოგიის ლაბორატორია ცალკე, სარდაფის სართულზე და ფიზიკის ცალკე - პირველ სართულზე. ორივე ლაბორატორიაში მოწყობილია ონკანი ნიჟარით, ოთახებს აქვს ფართო ფანჯრები, რაც ბუნებრივი განათება/განიავების საშუალებას იძლევა. სკოლაში მიმდინარეობს ლაბორატორიის შევსება ინვენტარითა და ქიმიური რეაქტივებით. ორივე ლაბორატორიაში არის თითო კომპიუტერი, ფიზიკის ლაბორატორიაში დამატებით არის ე.წ. „ჭკვიანი დაფა“ სკოლას აქვს სტანდარტული (208 დასახელების) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომელიც გადანაწილებულია შესაბამის ლაბორატორიებში. გადრა ამისა, დამატებით სკოლას შეძენილი აქვს ლაბორატორიული აღჭურვილობის გარკვეული ელემენტები. ქიმია/ბიოლოგიაში არის სხვადასხვა სახის მულაჟები. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ლაბორატორიული აღჭურვილობის შესყიდვისა დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ფართო ფანჯრები საკლასო ოთახებს უზრუნველყოფს კარგი ბუნებრივი განათებით. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა, ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის ქვაბით. ელექტროენერგია, გაზი და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. სკოლა წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამოუკიდებელ აბონენტს. ელექტროენეგრგიის შეწყვეტის შემთხვევისთვის სკოლას აქვს გენერატორი. სკოლის სამივე სართულზე კეთილმოწყობილი სველი წერტილებია, მათ შორის თანამშრომლებისთვის და სსსმ მოსწავლისთვის ცალკე. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და კოვიდრეგულაციების ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ სხვენის სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. სკოლას ჰყავს ორი ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკაში არის ორი კომპიუტერი. სკოლას შეძენილი აქვს პროგრამა „open Bibilio“ https://meeqvsesaavtoro.ge/obiblio/opac/index.php . პარალელურად სკოლა აწარმოებს წიგნების აღრიცხვას საინვენტარო წიგნებში. სულ აღრიცხულია 6429 საბიბლიოთეკო ერთეული, მათ შორის, სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული და სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები. სკოლას გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემა „ახალი განათლება“ და „National Geographic”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ ბიბლიოთეკის დებულება; საინვენტარო წიგნები; წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. შიდა კიბეებზე არის ლითონის ასაკეცი პანდუსები. ამასთან სკოლას შეძენილი აქვს სპეციალური ეტლი („Scalamobil”), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია უპანდუსო კიბეებზე გადაადგილება. სკოლის შენობის პირველ სართულზე არის ადაპტირებული სველ წერტილები სსსმ პირებისთვის. გარდა ამისა, სკოლას აქვს რესურსოთახი (ფსიქოლოგის ოთახი) და სასწავლო რესურსები სსსმ მოსწავლეებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ 64 კომპიუტერია. ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 20 კომპიუტერი. ამასთან, საკლასო ოთახებსა და ლაბორატორიებში განთავსებულია 9 კომპიუტერი და არის შესაძლებლობა გამოიყენონ 21 ლეპტოპი. დანარჩენი კომპიუტერები ადმინისტრაციის კაბინეტებშია. სკოლაში ასევე არის ე.წ. „ჭკვიანი დაფა“, პრინტერები და ქსეროქსები. სკოლის შენობის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ-გვერდი https://meeqvsesaavtoro.ge/. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის მისია, სკოლის დამფუძნებლებისა და ადმინისტრაციის წევრების შესახებ, სკოლის დებულება და შინაგანაწესი, საავტორო პროგრამების აღწერილობა, სიახლეები, წარმოდგენილია ფოტო და ვიდეო-გალერეები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ინტერნეტმომსახურეობასა უზრუნველყოფს სს “სილქნეტი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება; კომპიუტერების შესყიდვის და გადაცემის დოკუმენტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შენობა აღჭურვილია თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემით. ცეცხლმაქრები განთავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საევაკუაციო გეგმებში მითითებულ ადგილებში, სარდაფის სართულზე არის სახანძრო დაფა, ინსტრუმენტებით. გარდა ამისა, შენობაში გაყვანილია წყალმომარაგების „სახანძრო ონკანების“ სისტემა, შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“, რომლებიც სხვა საგანგებო სიტუაციებთან ერთად ითვალისწინებს (მათ შორის, ხანძრის შემთხვევაში) მოქმედებას/რეაგირებასა და ამ რეაგირებაზე პასუხისმგებელ პირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; სასაქონლო ზედნადები -ცეცხლმაქრების შეძენაზე და ჩუქებაზე; საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება; „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა“.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმა დამზადებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. გარდა ამისა, სკოლაში სხვადასხვა ადგილას განთავსებულია მნათი ნიშნულები - საევაკუაციო გასასვლელების მითითებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და ინსტრუქტაჟი. სკოლას ყავს ექიმი. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, სადაც განთავსებულია შემდეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინვენტარი: მაგიდა, კომპიუტერი, ონკანი ნიჟარით, კარადა, პირველადი მოხმარების მედიკამენტები, რომლებიც სისტემატიურად ახლდება. მაცივარი, საპრეპარატორო მაგიდა, სავარძლები შშმ პირებისთვის, სამედიცინო ტახტი. ექიმი აწარმოებს ვიზიტორთა ჩაწერის წიგნს. საქართველოში ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს ინფექციური დაავადებების მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა. რეკომენდაციების შესაბამისად, ხდება სკოლაში ვიზიტორთა აღრიცხვა და ტემპერატურის შემოწმება, შენობის შესასვლელში განთავსებულია დეზობარიერები და სადეზინფექციო სითხის მოწყობილობები, შენობაში გამოკრულია ვირუსის პრევენციის ამსახველი პოსტერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; პირელადი სამედიცინო დახმარების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის 4 თანამშრომელი. სკოლას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების “ შესაბამისად, შემუშავებული აქვს შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც შეთანხმებულია სამინისტროსთან. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში კოვიდ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შრომის უსაფრთხოებას. სკოლას შეძენილი აქვს მეტალოდეტექტორი და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირები, სქესის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,მეექვსე საავტორო სკოლის "უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეოკამერებით. კამერების მონიტორინგს აწარმოებს დაცვის თანამშრომელი და უსაფრთხო სკოლის მენეჯერი. სკოლის შენობების შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხდება 35 ვიდეოკამერის საშუალებით. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 32 კამერა. მათგან 4 კამერა დამონტაჟებულია შენობის მთავარ და სათადარიგო შესასვლელზე. ამ 4 გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; კამერების შეყიდვის ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,მეექვსე საავტორო სკოლას“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს იურდიული პირის წესდება, სკოლის დებულება და შინაგანაწესი. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, სკოლის დირექტორის ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის დებულებაში გაწერილია სკოლის მიზნები, ამოცანები, უფლებამოსილების და მართვის პრინციპები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. სკოლის დებულება დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს, განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, ექსკურსიის ორგანიზებას და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. სკოლის შინაგანაწესი განთავსებული ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. შიმაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტები: პედაგოგიური საბჭოს დებულება, კათედრის დებულება, დამრიგებლის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, ლაბორტორიით სარგებლობის წესი და სხვა..
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,, მეექვსე საავტორო სკოლის“ წესდება; სკოლის შინაგანაწესი; სკოლის დებულება; სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები; დირექტორის ბრძაბება სკოლის დებულების და შინაგანაწესის დამტკიცებაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია ზოგადი, ფუნდამენტური პრინციპები და სტრატეგიული პრიორიტეტები. სტრატეგიული გეგმა შემუშავდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ცენტრში წარმოდგენილი იყო სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავდა 2022-2027 წლების პერიოდს და რომელიც ფაქტიურად 5-წლიანია და არა 6-წლიანი. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებმა სკოლას მიუთითეს გეგმაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე, რაც გაითვალისწინა სკოლამ და კორექტირებული 6-წლიანი გეგმა გადმოაგზავნა (იხ. დანართი, სკოლის მიერ ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტაცია). მოწოდებული მასალის გადახედვა ექსპერტებმა ვიზიტის დასრულების შემდეგ განახორციელეს. გადმოგზავნილ კორექტირებულ ექვსწლიან გეგმაში, შესწორდა სტრატეგიული გეგმის დასრულების თარიღი, რის შედეგედაც გამოვიდა, რომ სკოლას აქვს 6-წლიანი 2022-2028 წლების გეგმა და ერთწლიანი 2021-2022 წლების. რადგან, ერთწლიანი გეგმა უნდა გამომდინარეობდეს ექვსწლიანი გეგმიდან და მისი ნაწილი უნდა იყოს, ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლამ კიდევ უნდა განახორციელოს წლების კორექტირება (ერთ-ერთი ვარაუდი, რომ 6-წლიანი გეგმის დაწყების თარიღად 2021 წელი უნდა იყოს მითითებული, არის მისი დამტკიცების თარიღი - ექვსწლიანი გეგმა დამტკიცებულია 2021 წლის 8 სექტემბრის N7/42 ბრძანებით) და განსაზღვროს დაწყების და დასრულების თარიღებად - 2021-2027 წლების პერიოდი. ექვსწლიან გეგმაში სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად, განსაზღვრულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა. ასევე ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც. ორივე გეგმაში გათვალისწინებულია ა)უცხოური ენების სწავლებისათვის აუცილებელი აუდიო აპარატურის შეძენა/განახლება; ბ) ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების შევსება/განახლება ცდების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებით; გ) სკოლის მართვის ელექტრონული სისტემის ხელშესაწყობად კომპიუტერული ტექნიკის შეძენა/განახლება; დ) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება და სხვა. **არგუმენტირებული პასუხისას სკოლა განმარტავდა, რომ არ აქვს ტექნიკური ხარვეზი დაშვებული და ყველაფერი გამიზნულადა, ანუ განმარტა, რომ ერთწლიანი გეგმა, რომელიც 2021-2022 წლებს მოიცავს, არის წინა ექვსწლიანი გეგმის (2016-2022) ნაწილი, ანუ გამოდის, რომ ეს ერთწლიანი გეგმა ამ ექვსწლიანის მეექვსე წელის მომცველია შემდეგი სქემის მიხედვით.** **2016-2017 პირველი წელი** **2017-2018 მეორე წელი** **2018-2019 მესამე წელი** **2019-2020 მეოთხე წელი** **2020-2021 მეხუთე წელი** **2021-2022 მეექვსე წელი** **სკოლა ასევე განმარტავს, რომ ახალი ექვსწლიანი გეგმა, რომელიც მოიცავს 2022-2028 წლებს, წინასწარ დაამტკიცა 2021 წლის 8 სექტემბერს. ანალოგიური სქემის მიხედვით ეს გეგმა უნდა მოიცავდეს წლებს შემდეგი სქემით** **2022-2023 პირველი წელი** **2023-2024 მეორე წელი** **2024-2025 მესამე წელი** **2025-2026 მეოთხე წელი** **2026-2027 მეხუთე წელი** **2027-2028 მეექვსე წელი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ანუ ფაქტიურად ახალი ექვსწლიანი გეგმა დაამტკიცა, ერთი სასწავლო წლით ადრე, მეხუთე წლისთავზე და ისე, რომ წინა ექვსწლიანის მეექვსე წელი ჯერ კიდევ მიმდინარეა, არ დასრულებულა, არ გარკვეულა, რა შესრულდა რა არ შესრულდა და რა მოცემულობიდან უნდა დაიგეგმოს ახალი ექვსწლიანი პერიოდი, თუნდაც ეს პერიოდი ავტორიზაციის პერიოდს ემთხვეოდეს. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,მეექვსე საავტორო სკოლას“, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებილი აქვს სკოლის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი“. შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ ერთიანი საქმისწარმოების წესი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით და მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხორციელდება ამავე წესით. წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისათვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. საქმისწარმოების დროს, სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლიდან. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ა) შემოსული დოკუმენტაცია; ბ) გასული დოკუმენტაცია; გ) შიდა დოკუმენტაცია. სკოლაში იწარმოება საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი, მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომლის შემუშავება ხორციელდება სკოლის ხელმძღვანელობით, საქმისმწარმოებლის მიერ. ყოველ ბლანკს გააჩნია სათანადო რეკვიზიტები, რომელთა სისწორეზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; მოსწავლეთა ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; ხელშეკრულებების სარეგისტრაციო საქაღალდე; შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ ერთიანი საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას.
რჩევები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საშტატო განრიგის თანახმად, სკოლის დირექციას წარმოადგენს სკოლის დირექტორი, 2 (ორი) მოადგილე, ჰუმანიტარული მიმართულების ხელმძღვანელი და ხარისხის მართვის მენეჯერი. სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობაა 14 (თოთხმეტი). კერძოდ, ადმინისტრაციული მუშაობის კოორდინატორი, მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი, ესთეტიკური აღზრდის კოორდინატორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი (სულ 2), ბუღალტერი, ფსიქოლოგი, ექიმი, სოციალური ქსელის მართვის ადმინისტრატორი, საქმისმწარმოებელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, თეატრალური წრის ხელმძღვანელი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. ამ ეტაპზე, ვაკანტურია ინკლუზიური განათლების კოორდინატორის და თეატრალური წრის ხელმძღვანელის პოზიცია. ტექნიკური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება 9 (ცხრა) - ით. შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 5 ნოემბერი N7/80 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დებულება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების, ადმინისტრაციის თანამშრომელთა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლაში 77 მასწავლებელია დასაქმებული. თანამშრომელთა ფუნქციები, აგრეთვე, გაწერილია ხელშეკრულებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის საშტატო განრიგი; პორტირებული მონაცემები Eschool - ის ბაზიდან; შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ დებულება. შპს"მეექვსე საავტორო სკოლა"მასწავლებელთა საათობრივი განაწილება; თანამშრომელთა ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	77
მოწვეული/მაძიებელი	23
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	51
წამყვანი მასწავლებლი	3
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და შესაბამისობა დაკავებულ სტატუსთან. წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია, აგრეთვე, ცნობები ნასამართლობის შესახებ და ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,მეექვსე საავტორო სკოლის“ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დებულება; მასწავლებელთა პირადი საქმეები; Eschool - ის ბაზა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება შპს ,,მეექვსე საავტორი სკოლის“ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დებულების შესაბამისად, სადაც გაწერილია კანდიდატის კვალიფიკაციის, ცოდნის, პროფესიული უნარ-ჩვევების, პიროვნული თვისებების შეფასებისა და ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესითაც განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესი. თანამშრომელთა მიღების დადგენილი ეტაპების გარდა, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია დააწესოს სამუშაოზე მიღების დამატებითი ეტაპები. თანამშრომელთა სამუშაოდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს სკოლის დირექტორი. შინაგანაწესის მე-13 მუხლი არეგულირებს თანამშრომელთა წახალისების ფორმებს, მათ შორისაა: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემიის გაცემა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. შინაგანაწესის მე-4 თავი მთლიანად ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს - ინფორმაცია დეტალურია და არეგულირებს დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებულ საკითხებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,მეექვსე საავტორი სკოლის “ დებულება მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესახებ; შპს ,,მეექვსე საავტორი სკოლის შინაგანაწესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ხელშეკრულების ნომერი, ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შრომის ანაზღაურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები, პერსონალური მონაცემების დამუშავება-გავრცელების წესი, სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „მეექვსე საავტორო სკოლაში“ შემუშავებულია დოკუმენტები: ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	„პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული ჯგუფი წლის განმავლობაში უფროს მასწავლებელს ესწრება მინიმუმ სამჯერ, წამყვანს მინიმუმ ორჯერ, ხოლო მენტორს - მინიმუმ ერთხელ და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, აღნიშნული ჯგუფი აფასებს მასწავლებლის ელექტრონულ პორტფოლიოში განთავსებულ, მისი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას. სკოლამ დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, ასევე წარმოადგინა პედაგოგების მიერ გავლილი ტრენინგების ნუსხა, მათ შორის, ინფორმაცია უფასო ტრენინგების შესახებ, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა განახორციელა. ასევე, მონაცემები გერმანულის მასწავლებლების მიერ მოსმენილი სემინარების შესახებ. გარდა ამისა, სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლაში ეწყობა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები, რომელიც განხორციელებულია სკოლის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის კოორდინატორის მიერ, წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიშები. ყოველივე ეს აქტივობა ქმნის სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობ მექანიზმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს „მეექვსე საავტორო სკოლის“ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის კოორდინატორის ანგარიში; გაკვეთილზე დასწრებისა და განმავითარებელი შეფასების მასწავლებლებისთვის მიცემის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების, საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ შპს „მეექვსე საავტორო სკოლაში“ არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. შინაგანაწესის, სტრატეგიული გეგმების და სასკოლო-სასწავლო გეგმის გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. მშობლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება სკოლისადმი მათი კმაყოფილების მაღალი ხარისხი. ინიციატივა და სიახლის დანერგვა მაქსიმალურად ხელშეწყობილია ადმინისტრაციის მხრიდან. რაც უკეთესი თანამშრომლობითი გარემოს შექმნის მოტივატორია. სკოლის ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვებში, თავისუფლად გამოთქვას აზრი და გამოხატოს სურვილები, რაც გათვალისწინებული იქნება სკოლის მიერ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე სკოლაშია, დაკავებულია სხვადასხვა აქტივობებით, დავალებებს სკოლაში ამზადებს, დაცულია, რაც კომფორტულია მშობლისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ბევრი თანამშრომელია, სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საზოგადოების თვითოეული წევრი მნიშვნელოვანი რგოლია საგანმანათლებლო პროცესის და მთლიანად სკოლაში განხორციელებული საქმიანობის. კადრი კი, რომელმაც იცის საკუთარი მოვალეობები და შესაძლებლობა აქვს რეალიზება გაუკეთოს თავის შესაძლებლობებს, საფუძველია, რომ სკოლაში იყოს დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება. სასკოლო დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 02.02.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 46

46

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.